ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4346004

ნომერი: AR1652060

თარიღი : 24.12.2018

გაცემის თარიღი : 22.01.2019

გაცნობის თარიღი : 24.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თაბუკაშვილის ქუჩა N7; 9; 11; 11ა; 16; 18; 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თაბუკაშვილი პ/ნ 01024024617
- თბილისი ლ.თაბუკაშვილის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2018 წლის 24 დეკემბრის №AR1652060 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 დეკემბერს №AR1652060 განცხადებით მომართა ზურაბ თაბუკაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თაბუკაშვილის ქუჩა №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა ,,თაბუკაშვილი 88''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე N1 და N2 ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2007 წლის 13 სექტემბრის №ნ/837 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა №ნ/837-1. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2007 წლიდან 20 სექტემბრიდან 2010 წლის 20 მარტამდე.
სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის №386797 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში საპროექტო შენობის №1 და №2 ბლოკების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
განმცხადებლის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანება და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 სექტემბერს №386797 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია ურთიერთშეუსაბამოა და აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი ფუნქციები და ფართები შეუსაბამოა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში, აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას გეგმები ექსპლიკაციებით ფართების და ფუნქციების დატანით, ასევე წარმოდგენილ იქნას შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მიწის ნაკვეთის ფართობის გარეშე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ: საჭიროა წარმოდგენილ იქნას გეგმები ექსპლიკაციებით ფართების და ფუნქციების დატანით, ასევე წარმოდგენილ იქნას შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მიწის ნაკვეთის ფართობის გარეშე.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2018 წლის 24 დეკემბრის №AR1652060 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge